პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ხუთშაბათი, 11 ოქტომბერი, 1951 წ. № 240 (9094). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია

განუწყვეტლივ ვაუმჯობესოთ სამეურნეო ხელმძღვანელობის მეთოდები — „პრავდის" 10-X მოწინავე (1-ლი გვერდი).

თავდადებული შრომით განამტკიცებენ მშვიდობის საქმეს (1-ლი გვერდი).

ჩაის პროდუქცია წლიური გეგმის გადამეტებით (1-ლი გვერდი).

შახტის მოწინავე უბანი (1-ლი გვერდი).

ინჟინერ სტუკანოვის მოსიარულე ელექტროდომკრატი (1-ლი გვერდი).

ქ. კაპანაძე — სომხეთის მეცხოველეები ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში (მე-2 გვერდი).

გრ. ჭელიძე — მაგალითის ძალა (მე-2 გვერდი).

გ. კაპაშვილი — გავავრცელებთ მოწინავეთა გამოცდილებას (მე-2 გვერდი).

მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის (მე-2 გვერდი).

დ. დოლიძე — საუკეთესოდ მოვაწყოთ მასობრივი საკოლმეურნეო კადრების მომზადება (მე-3 გვერდი).

ნ. ჩხატარაშვილი — ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობის გათამაშების შედეგები (მე-3 გვერდი).

მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

განუწყვეტლივ ვაუმჯობესოთ სამეურნეო ხელმძღვანელობის მეთოდები

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკა განუხრელად მიდის წინ.

სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობის საფუძველზე წლითიწლობით ხორციელდება ჩვენი საწარმოების აღჭურვა პირველხარისხოვანი ტექნიკით, იზრდება შრომის ნაყოფიერება, უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა. [illegible]

[illegible]

ამხანაგმა სტალინმა ჯერ კიდევ 1934 წელს თქვა:

„შესრულების კარგად დაყენებული შემოწმება — ეს ის პროჟექტორია, რომელიც გვეხმარება გავაშუქოთ აპარატის მუშაობის მდგომარეობა ყოველ დროს და დღის სინათლეზე გამოვიყვანოთ ბიუროკრატები და კანცელარისტები...

მაგრამ, შესრულების შემოწმებამ რომ მიზანს მიაღწიოს, აუცილებელია, სულ ცოტა, ორი პირობა: პირველი, — რათა შესრულების შემოწმება იყოს სისტემატური და არა ეპიზოდური; მეორე, — რათა შესრულების შემოწმების საქმის სათავეში პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ყველა რგოლში იდგნენ არა მეორეხარისხოვანი პირები, არამედ საკმარისად ავტორიტეტული ადამიანები, — თვით ორგანიზაციების ხელმძღვანელები".

[illegible]

... ქვეებით, პარტიისა და ხალხისადმი, კომუნიზმის დიადი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

ხელმძღვანელობის მეთოდების განუწყვეტლივ გაუმჯობესებით საბჭოთა სამეურნეო მუშაკები უზრუნველყოფენ სამეურნეო აპარატის ყველა რგოლის მუშაობის სიზუსტესა და ორგანიზებულობას, ახალ-ახალ წარმატებას მოიპოვებენ სახალხო-სამეურნეო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

„პრავდის" 10-X მოწინავე

---

12 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე შრომის სასახლის კლუბში (გრიბოედოვის ქ. № 19) მოწვეულია

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მე-8 პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. საკავშირო პროფსაბჭოს მე-6 პლენუმის დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ.
2. საქართველოს სს რესპუბლიკაში პროფკავშირული სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მუშაობის შესახებ.

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭო.

ჩვენს რესპუბლიკაში

შახტის მოწინავე უბანი

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). ტყვარჩელქვანახშირის შახტების უბნებს შორის ყველაზე უფრო დაწინაურდა სტალინის სახელობის შახტის მე-9 უბნის კოლექტივი. ამას წინათ ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა უბანს მიაკუთვნეს პირველი ადგილი, გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

უბნის მეშახტეებმა უფრო მაღალნაყოფიერად იმუშავეს სექტემბერში, მეტი ქვანახშირის ამოღებით უპასუხეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერას. უბანში წარმატებით დანერგეს რა სადღეღამისო ციკლური გრაფიკით მუშაობის მეთოდი, სრული სიმძლავრით ამუშავებენ საშახტე კომბაინს „დონბასს". ამის შედეგად უბნის მეშახტეებმა სექტემბერში 2.700-მდე ტონით მეტი ქვანახშირი ამოიღეს, ვიდრე ივნისში — ციკლურ გრაფიკზე გადასვლამდე.

მაღალნაყოფიერად მუშაობენ წამყვანი პროფესიის მეშახტეები — კომბაინის მემანქანეები ნ. პოპოვი, ნ. შეტანინი, მათი თანაშემწეები ვ. ლონლაძე და ვ. არხიმამედოვი.

უბნის კოლექტივი ჩაება საოქტომბრო შეჯიბრებაში და ოქტომბრის პირველი დღეებიდანვე ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო გეგმას 30-40 პროცენტით აჭარბებს.

ახორციელებენ რაციონალურ წინადადებებს

წინათ თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხანაში ვაზის სასხლავი მაკრატლის — სეკატორის გამოშვების გეგმებს ვერ ასრულებდნენ, რადგან სეკატორი მრგვალი და ოთხკუთხოვანი რკინისაგან იჭედებოდა, ხოლო პნევმატური ჩაქუჩის სიმძლავრე ვერ უზრუნველყოფდა მაღალხარისხოვანი სეკატორის დიდი რაოდენობით გამოშვებას. ამჟამად ზეინკალ გ. ტეხმიშიანის წინადადებით სეკატორს, ნაცვლად მრგვალი და ოთხკუთხოვანი რკინისა, ფურცლოვანი რკინისაგან ამზადებენ, რამაც დეტალების დამუშავება ძლიერ გააადვილა. ახალი კონსტრუქციის სეკატორებს წარმატებით აწყობს ზეინკალთა ბრიგადა, რომელსაც ა. თვაური ხელმძღვანელობს.

ქარხნის კოლექტივმა აითვისა და სექტემბერში გამოუშვა საგზაო მშენებლობისათვის გათვალისწინებული ქვიშის დამხარისხებელი 10 მანქანა-ცხავი. ამჟამად ქარხანაში სერიულად ამზადებენ წელს ათვისებულ კულტივატორებს, სიმინდის მწკრივად სათეს მანქანებს და საბრუნავ გუთნებს.

ცხრა თვის გეგმა ქარხანამ 102,2 პროცენტით შეასრულა. საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს სამჭედლო, სახარატო და გუთნების ამწყობმა საამქროებმა. დღიურ ნორმებს ორმაგად ასრულებენ ხარატები ა. რობაქიძე, ტ. გრიგორიანი, გ. სახელაშვილი, ჩამომსხმელი ი. ჯიშკარიანი, ზეინკალი ა. პავლუხინი.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმა შეასრულოს 5 დეკემბრისათვის, თვითღირებულება 0,5 პროცენტით შეამციროს და გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვას.

თავდადებული შრომით განამტკიცებენ მშვიდობის საქმეს

ბათუმი. (საკ. კორ.). უმაღლესი პატრიოტული აღფრთოვანებით მოაწერეს ხელი ბათუმის საწარმოთა მუშებმა და მოსამსახურეებმა ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას. მათი ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა თავდადებული შრომით განამტკიცონ მშვიდობის საქმე.

ბათუმელი სტახანოველები თავიანთ სიტყვას ერთგულნი არიან. ამას ნათლად მოწმობს ქალაქის საწარმოების მუშაობის სექტემბრის შედეგები.

შეწყობილად და მაღალნაყოფიერად მუშაობენ ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მუშები. მათ 118,1 პროცენტით შეასრულეს ნავთობპროდუქტების გამოშვების სექტემბრის დავალება. ქარხნის საამქროებს შორის გაჩაღებულია ბრძოლა სტახანოვური საამქროს საპატიო წოდების მოსაპოვებლად. დაწინაურდა მესამე საამქროს კოლექტივი, რომელიც ყოველდღიურად მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებას, აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, დიდი რაოდენობით ზოგავს ორთქლს, ელექტროენერგიას და მნიშვნელოვნად ამცირებს ნავთობპროდუქტების დანაკარგებს.

კოფეინის ქარხნის სტახანოველებმა ახალი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს სექტემბერში: კოფეინის გამოშვების თვიური დავალება 127,8 პროცენტით გაანაღდეს, 5 პროცენტით გაადიდეს კოფეინის გამოსავლიანობა, 28,2 პროცენტით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, დაზოგეს 31.200 მანეთის ნედლეული და ქიმიკატები, ამასთან რვა თვეში სახელმწიფოს მისცეს 46.500 მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ქარხნის ძირითადმა — კოფეინის საამქრომ სექტემბრის მუშაობის შედეგებით საუკეთესო ხარისხის საამქროს საპატიო წოდება მოიპოვა.

ბათუმის ნავსადგურის კოლექტივმა ხელი მოაწერა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას და იკისრა 10 ოქტომბრისათვის შეესრულებინა ტვირთბრუნვის წლიური გეგმა. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით, მექანიზმების სრული დატვირთვით გამოყენებითა და დატვირთვა-გადმოტვირთვის ჩქაროსნული მეთოდების დანერგვით ეს ვალდებულება 10 დღით ადრე — 30 სექტემბრისათვის იქნა განაღდებული. მარტო სექტემბერში ნავსადგურში გემების დგომის დრო შემცირებულია 135 საათით.

დიდი გადაჭარბებით შეასრულა სექტემბრის საწარმოო დავალება თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივმა. მეთამბაქოეებმა სექტემბერში გეგმის გადამეტებით 6 მილიონ 200 ათასი ცალი პაპიროსი გამოუშვეს, ხოლო შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზარდეს 9,9 პროცენტით. ფაბრიკაში სულ უფრო იზრდება საუკეთესო ხარისხის ბრიგადების რიცხვი. ამ დღეებში სსრ კავშირის კვების მრეწველობის მინისტრის ბრძანებით საუკეთესო ხარისხის ბრიგადის საპატიო წოდება მიენიჭა თამბაქოს დამხარისხებელთა იმ ბრიგადას, რომელსაც ვ. შუხატიანი ხელმძღვანელობს.

დღითიდღე იზრდება მრავალდაზგოსანთა რიგები. ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატი კომკავშირელი ა. უსატენკო ოთხ დაზგას ემსახურება. მან გეგმის გადამეტებით სექტემბერში ორმილიონნახევარი ცალი პაპიროსის ჰილზი დაამზადა. ფაბრიკის კოლექტივი იბრძვის, რომ ოქტომბრის დავალება სამი დღით ადრე შეასრულოს, დაზოგოს 100 კვადრატული მეტრი საჰილზე და 150 კილოგრამი სამუნდშტუკე ქაღალდი და 100 კილოგრამი თამბაქო.

ბათუმის მშრომელები, მილიონობით საბჭოთა ადამიანებთან ერთად, თავიანთი სტახანოვური შრომით განამტკიცებენ მშვიდობის საიმედო ბურჯის — საბჭოთა სახელმწიფოს ძალასა და ძლიერებას.

ჩაის პროდუქცია წლიური გეგმის გადამეტებით

ზუგდიდი. (ტელეგრაფით). ნარაზენის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი ამხ. ღურწკაია, მთავარი ტექნოლოგი ამხ. ხვედელიანი, პარტბიუროს მდივანი ამხ. ბახტაძე) პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 770,9 ტონისა გამოშვებულია 789,9 ტონა ჩაის პროდუქცია. „საქართველოს თაიგულის" გამოშვების გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით, „ექსტრასი" — 121,2, უმაღლესი ხარისხის ჩაისა — 131,3 და პირველი ხარისხისა — 126,2 პროცენტით.

ფაბრიკის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცეს 150 ტონა ხარისხოვანი ჩაის პროდუქცია.

ინგირის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი შ. ჩილაჩავა, მთავარი ტექნოლოგი ი. ბარძემიშვილი, პარტბიუროს მდივანი თ. კოკაია) ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 628 ტონისა გამოუშვა 628,6 ტონა ჩაის პროდუქცია. „საქართველოს თაიგულის" გამოშვების გეგმა შესრულებულია 114 პროცენტით, „ექსტრასი"—221, უმაღლესი ხარისხის ჩაისა — 141,2, პირველი ხარისხისა — 148,2 პროცენტით.

ფაბრიკის მუშაკები მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დგანან და იმისათვის იბრძვიან, რომ წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცენ 100 ტონა შავი ბაიხის ჩაის პროდუქცია.

• • •

ლანჩხუთი. (ტელეგრაფით). სუფსის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი ამხ. სარიშვილი) ვადაზე ადრე შეასრულა ჩაის პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 254 ტონისა გამოშვებულია 255 ტონა ჩაი.

ფაბრიკის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვას 60 ტონა ჩაის პროდუქცია.

ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება

ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება და წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარეს 480 ცენტნერი მატყლი.

მატყლის დამზადება გრძელდება.

სტალინგრადის არხის ზონის სასოფლო-სამეურნეო ათვისების რუკა

ალმა-ატა, 8 ოქტომბერი. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის ყაზახეთის ფილიალის კასპიისპირა კომპლექსური ექსპედიციის უფროსმა, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ი. მატვეევმა განაცხადა:

— კასპიის ზღვისპირა დაბლობიდან ალმა-ატაში დაბრუნდა კომპლექსური ექსპედიციის შვიდივე სპეციალიზებული რაზმი — ხუთი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის წარმომადგენლები. მათ დაიწყეს სტალინგრადის არხის ზონის სასოფლო-სამეურნეო ათვისების რუკის შედგენა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივების შემუშავებას ახალ პირობებში, რომლებიც კასპიისპირეთში შეიქმნება სტალინგრადის მაგისტრალური და სარწყავი არხების აგების შემდეგ.

ამ ტერიტორიის ათვისების პირველსავე წლებში საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა ერთიორად გადიდდება, ხოლო პროდუქტიულობა რამდენჯერმე გაიზრდება. სარწყავ რაიონებში უმთავრესად მოაშენებენ ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი ჯიშის ცხვარს, ხოლო კასპიის სანაპიროს ქვიშნარებზე—საკრაველ ცხვარს. ძირეულად გარდაიქმნება კასპიისპირეთის მეცხენეობა.

არხების აგების შემდეგ პირველ წლებში უხვმოსავლიანი საძოვრები რამდენიმე ასეულ ათას ჰექტარს დაიკავებს.

სტალინგრადის არხის ზონის სასოფლო-სამეურნეო ათვისების რუკა ცხადად ასახავს მკვეთრ ცვლილებებს, რაც მოხდება ვოლგასა და ურალს შუა მდებარე უზარმაზარ ტერიტორიაზე.

ინჟინერ სტუკანოვის მოსიარულე ელექტროდომკრატი

9 ოქტომბერს საკავშირო სამშენებლო გამოფენაზე აჩვენეს ახალი სამშენებლო მანქანა — მოსიარულე ელექტროდომკრატი.

ინჟინერ ა. ა. სტუკანოვის მიერ გაკეთებული დომკრატი მუშაობის დროს აჩვენეს. შრომის სტახანოვური მეთოდების საჩვენებელ მოედანზე ამოჰყავდათ აგურის კედლები და ამ კედლებზე ვერტიკალურად ელექტრომოტორების დახმარებით ადიოდა და ნელა ჩამოდიოდა ახალი მანქანა, რომელსაც აჰყავდა კალატოზები და აქონდა საშენი მასალები — დიდრონი ბლოკები, აგური და ხსნარიანი ყუთები.

მოსიარულე ელექტროდომკრატი ხარაჩოს ხსნის შენობებს, საშუალებას იძლევა კედლები აყვანილ იქნას განუწყვეტლივ, აგრეთვე მნიშვნელოვნად ადიდებს კალატოზთა შრომის ნაყოფიერებას და უადვილებს მათ შრომას.

ამჟამად მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ქარხნებში 200 მოსიარულე ელექტროდომკრატი მზადდება დედაქალაქის მშენებლობებისათვის. (საკდესი).

სოციალისტური შრომის გმირები

ი. ი. გოგინავა
დიდი ჯიხაიშის საბჭოთა მეურნეობის უფროსი აგრონომი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 100,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 4.007 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ქ. ა. გოგბაშვილი
ცხაკაიას რაიონის უშაფათის სახოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.889 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.



თ. დ. ხაჭაპურიძე
წულუკიძის საბჭოთა მეურნეობის მუშა. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 7.914 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

შ. ა. ხარებავა
ინგირის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის უფროსი აგრონომი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 102,9 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 4.234 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ხალხთა სტალინური მეგობრობის [illegible]

საქართველოს მეცხოველეობის მუშაკები სტუმრად სომხეთის კოლმეურნეებთან

მაგალითის ძალა

გამოცდილების ურთიერთგაზიარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ამ საქმეში სერიოზულად დაგვეხმარა მოძმე სომხეთის მეცხოველეთა მუშაობის შესწავლა. სომხეთში ყოფნის დროს საფუძვლიანად გავეცანი მეცხოველეობის ძირითადი რაიონების კალინინის, სტეპანავანის და ბერიას რაიონების კოლმეურნეობათა ფერმებს. სტეპანავანის რაიონის სოფელ კათნახპიურის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ჰყავთ 760 სული, აქედან 205 სული ჯიშიანი ძროხა. აქ ერთ ძროხაზე რვა თვის განმავლობაში 1.700 ლიტრზე მეტი რძე მოწველეს.

კარგი საწარმოო მაჩვენებლები აქვს ამავე რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას, რომლის თავმჯდომარეა ზოოტექნიკოსი შახპარონიანი. ზოგიერთი ძროხა აქ კარგი მოვლისა და კვების შედეგად დღეში 20-30 ლიტრ რძეს იწველის. კოლმეურნეობას საკმაოდ აქვს სათიბი და საძოვარი ადგილები.

ბერიას რაიონის კოლმეურნეობებში დიდ ყურადღებას აქცევენ პირუტყვის ბაგურ კვებაზე შენახვას, ფერმის ახლო მიწის ნაკვეთებზე თესავენ საკვებ ჭარხალსა და მრავალწლიან ბალახებს (ესპარცეტს, იონჯას და სხვ.).

სომხეთში მიღებული გამოცდილების საფუძველზე საჭიროა ჩვენი კოლმეურნეობის ძროხები ნაწილობრივ მაინც გადავიყვანოთ ბაგურ კვებაზე, გავაუმჯობესოთ ძროხების ჯიშობრივი შემადგენლობა. მაშინ წველადობა თვალსაჩინოდ გაიზრდება. ჩვენი ამოცანაა მივაწოდოთ თბილისის მოსახლეობას იაფფასიანი რძე და რძის ნაწარმი. ამას ჩვენ შევძლებთ საკვები ბაზის გადიდებით, საკვები ჭარხლის, კომბოსტოს, გოგრის და მრავალწლიანი ბალახების თესვის გაფართოებით. ბაგაზე მყოფ ძროხებს მუდამ უნდა ჰქონდეთ მწვანე ბალახი. სომხეთის კოლმეურნეობებში მიღებულ შესანიშნავ გამოცდილებას ჩვენ დავნერგავთ და მით უზრუნველვყოფთ მეცხოველეობის ახალ აღმავლობას. მაგალითის ძალა დიდი ძალაა.

გრ. ჭელიძე

თეთრი წყაროს რაიონის ახურეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

კალინინის რაიონის ლორის საჯიშე საბჭოთა მეურნეობა. სურათზე: ბუღა-მწარმოებლები. ფოტო ა. ჯალალიანისა

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკები ერთმანეთთან სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი იმ ამოცანების წარმატებით შესასრულებლად, რაც მეცხოველეობის დარგში დასახულია ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის მიერ.

მოძმე რესპუბლიკების მეცხოველეთა შორის სოციალისტურმა შეჯიბრებამ ფართო ხასიათი მიიღო. ბრძოლა საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის ახალი ძალით გაჩაღდა.

სოციალისტური შეჯიბრების პირველი შედეგები მოწმობენ, რომ ამიერკავკასიის მშრომელები დაუღალავად შრომობენ პირუტყვის სულადობის შენარჩუნების, პროდუქტიულობის გადიდების, მტკიცე საკვები ბაზის შექმნისა და მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა პროცესების მექანიზაციის ფართო მასშტაბით განხორციელებისათვის.

ამას წინათ საქართველოსა და აზერბაიჯანის მშრომელთა დელეგაციები ესტუმრნენ სომხეთის მშრომელებს და უშუალოდ ადგილობრივ გაეცნენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მეცხოველეობის ფერმების მუშაკთა მოწინავე გამოცდილებას.

საქართველოსა და აზერბაიჯანის მშრომელთა წარმომადგენლების შეხვედრა სომხეთის მშრომელებთან ხალხთა სტალინური მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა.

ამ გვერდში დაბეჭდილი მასალები მოგვითხრობენ სომხეთის მეცხოველეობის მუშაკებთან შეხვედრებზე.

მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის

(საუბარი სომხეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრთან ამხ. ე. ს. ყაზარიანთან)

წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის თანასწორუფლებიან ხალხთა, მათ შორის ამიერკავკასიის ხალხთა დიადი, ურღვევი მეგობრობა.

სომხეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის ხალხთა მეგობრობა უმაგალითო ძალით იჩენს თავს ჩვენი დიადი სამშობლოს სასახელოდ ახალი მიღწევების მოპოვებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სოციალისტურ შეჯიბრებაში საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის ათეულ ათასობით მშრომელი მონაწილეობს. ამ რესპუბლიკების მშრომელთა მეგობრობა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა მეგობრობა, იმდენად მტკიცეა, რომ ერთი რესპუბლიკის მშრომელთა ყოველი დიდი წამოწყება დაუყოვნებლივ პოულობს გამოხმაურებას მეორე მოძმე რესპუბლიკის მშრომელებში, იწვევს მათს სიხარულსა და ძმურ მხარდაჭერას.

წელს საბჭოთა სომხეთის დედაქალაქ ერევანში მეცხოველეობის ფერმების საუკეთესო მუშაკებმა, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაკებმა მეცხოველეობის მოწინავეთა რესპუბლიკურ შეკრებაზე განიხილეს რესპუბლიკის მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საკითხები. მეცხოველეობის მუშაკებმა ილაპარაკეს თავიანთ მუშაობაზე და წამოაყენეს მთელი რიგი ძვირფასი წინადადებანი, რომელთა მიზანია მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლება, მეცხოველეობის გადაქცევა სომხეთის სოფლის მეურნეობის მაღალშემოსავლიან და დიდშემოსავლიან დარგად.

მეცხოველეობის მოწინავეთა რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებმა დაამტკიცეს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება და შეჯიბრებაში გამოიწვიეს მოძმე რესპუბლიკების — საქართველოს და აზერბაიჯანის მეცხოველეები.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეებს გარკვეული მიღწევები აქვთ. განვლილ პერიოდში სომხეთის კოლმეურნეობებმა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გასწიეს. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის რვა თვის გეგმა შესრულებულია 98,4 პროცენტით, ცხვრისა — 109,8 პროცენტით, ღორისა—113,8 პროცენტით, ცხენისა — 104,5 პროცენტით.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა უზრუნველყვეს პროდუქტიული პირუტყვისა და ფრინველის ოთხ-ოთხი ფერმის მოწყობა, მეცხენეობის, მეფუტკრეობისა და მეკურდღლეობის ფერმები რომ არ ჩავთვალოთ. ჩვენმა მეცხოველეებმა განვლილ პერიოდში საზოგადოებრივი პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებისათვის ბრძოლაშიც გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. საშუალოდ რესპუბლიკაში ერთი საფურაჯე ძროხის წველადობა, 1951 წლის 1 სექტემბრის ცნობებით, გასული წლის სათანადო პერიოდთან შედარებით 170 ლიტრით გაიზარდა. მთელმა რიგმა რაიონებმა კი წველადობა შარშანდელთან შედარებით ერთიორად და უფრო მეტად გაადიდეს და ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების წლიური გეგმა.

ამჟამად მეცხვარეობის მთელ რიგ ფერმებში მიმდინარეობს ცხვრის ნერბვა ნაზმატყლიანი ყოჩებით. ბევრ რაიონში სპეციალურად მოწყობილ კურსებზე ამზადებენ დათესლვის ტექნიკოსებს. კოლმეურნეობები იძენენ წმინდა ჯიშის ნაზმატყლიან ყოჩებს.

მეცხოველეობის დარგში პარტიისა და მთავრობის დავალებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში დიდი და სერიოზული ყურადღება ექცევა მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. რესპუბლიკაში გადაჭარბებით არის შესრულებული მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების, სასილოსე კულტურებისა და ძირხვენების თესვის გეგმა. დაბლობი და მთისპირა რაიონების კოლმეურნეობებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს ნაწვერალზე სათესი კულტურების, სუდანურას, ღომის, საკვები ჭარხლისა და სხვა კულტურების დასათესად. რესპუბლიკის მთელმა რიგმა რაიონებმა დასილოსების გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს.

მაგრამ მეცხოველეობის დარგში მიღწეულ გარკვეულ წარმატებებთან ერთად ჯერ კიდევ გვაქვს მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი. ამ ნაკლოვანებათა შესახებ სავსებით სამართლიანად ლაპარაკობდნენ მოძმე საქართველოს და მოძმე აზერბაიჯანის დელეგაციების წევრები ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეებთან შეხვედრის დროს.

ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლი ის არის, რომ ბევრმა რაიონმა და კოლმეურნეობამ ვერ შეასრულა ძროხების სულადობის ზრდის გეგმა. ძროხების ხვედრითი წონა ჯერ კიდევ დაბალ პროცენტს შეადგენს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო ჯოგში. ეს გარემოება აბრკოლებს პირუტყვის სულადობის ნორმალურ ზრდას საკუთარი მოშრავლების გზით, ამცირებს სასაქონლო რძის გამოსავლიანობას და ამით გავლენას ახდენს კოლმეურნეობათა შემოსავალზე.

ჩვენი მუშაობის სერიოზული ნაკლია ჩვენი კოლმეურნეობების სუსტი მუშაობა მეფრინველეობის განვითარების დარგში.

სომხეთის მეცხოველეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მიაღწიონ მეცხოველეობის შემდგომ აღმავლობას. სოციალისტურ შეჯიბრებაში მეცხოველეობის ყველა ფერმა მონაწილეობს. ამოცანა ის არის, რომ მოვაწყოთ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებათა შესრულების სისტემატური შემოწმება.

ამიერკავკასიის სამი მოძმე რესპუბლიკის მეცხოველეთა სოციალისტური შეჯიბრება დიდი მოვლენაა სომხეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის კოლმეურნე გლეხობის ცხოვრებაში. დღითიდღე სულ უფრო ჩაღდება შეჯიბრება სამი რესპუბლიკის მეცხოველეებს შორის. იზრდება და მტკიცდება სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობა.

თავიანთი საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის გარშემო მჭიდროდ დარაზმული სომხეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის მშრომელები, ისევე როგორც ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ყველა მშრომელი, ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევენ დიად სამუშაოთა სტალინური გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში.

გავავრცელებთ მოწინავეთა გამოცდილებას

სომხეთის მეცხოველეობის მუშაკები დიდ მუშაობას ეწევიან პროდუქტიული პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობისა და სათიბ-საძოვრების გაუმჯობესებისათვის, მრავალწლიანი და ერთწლიანი ნათესი ბალახების ფართობების გადიდებისათვის. საზაფხულო საძოვრებზე ბალახის სიმცირის შემთხვევაში ისინი პირუტყვს დამატებით კვებავენ სილოსით. ბაგური მოვლის პირობებში ძროხებს კვებავენ ძირნაყოფებით, საუკეთესო ხარისხის თივით და კონცენტრირებული საკვებით, რითაც გაადიდეს წველადობა. მრავალ ფერმაში განხორციელებულია შრომატევად სამუშაოთა პროცესების მექანიზაცია.

საუკეთესოდ არის მოწყობილი ლორის საბჭოთა მეურნეობა. აქ თვითეულ ძროხაზე 8 თვეში მიიღეს 2.297 ლიტრი რძე. მწველავებმა მარიამ მიხაილოვამ და მარიამ სანაგიანმა 8 თვის განმავლობაში ყოველ ძროხაზე სამ-სამი ათასი ლიტრი რძე მიიღეს.

სომხეთში მიღებულ გამოცდილებას დავნერგავთ ჩვენს კოლმეურნეობაში, მოვაწყობთ ძროხების სტაციონარულ კვებას და საკვების წინასწარი შემზადების შედეგად მივაღწევთ წველადობის გეგმის 10 პროცენტით გადაჭარბებას; მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმაში განვახორციელებთ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას და მოვაწყობთ ცხვრის ელექტროპარსვას; რძის პროდუქტებს გადავამუშავებთ მექანიზებული წესით; საუკეთესოდ გამოვაზამთრებთ პირუტყვს.

სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების მეცხოველეთა სოციალისტური შეჯიბრება, უეჭველია, ხელს შეუწყობს ჩვენი მეცხოველეობის შემდგომ წინსვლას.

გ. პაპაშვილი

დუშეთის რაიონის გუდამაყრის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

კალინინის რაიონის ყველის გადამმუშავებელი ქარხანა. სურათზე: ლაბორანტი ვ. გრიგორიანი ამოწმებს ყველის ხარისხს.

სომხეთის მეცხოველეები ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში

★

ქ. კაკანაძე

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე

★

მიმდინარე წლის გაზაფხულზე სომხეთის სსრ მეცხოველეობის მუშაკებმა საზოგადოებრივი პირუტყვისა და ფრინველის სულადობის გადიდების სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების, მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრად გადიდების და საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით საქართველოს სსრ მეცხოველეობის მუშაკები გამოიწვიეს სოციალისტურ შეჯიბრებაში. ეს შეჯიბრება ორი მოძმე რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეცხოველეობის ახალი აღმავლობის მძლავრი სტიმულია.

„სოციალისტური შეჯიბრება, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი,—არის მშრომელთა მილიონიანი მასების მაქსიმალური **აქტივობის საფუძველზე სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტური მეთოდი"**.

საქართველოს სსრ დელეგაციამ ამას წინათ შეამოწმა სომხეთის სსრ მეცხოველეობის მუშაკების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა. დელეგაციის მონაწილეთა აღტაცება გამოიწვია მოძმე სომხეთის მიღწევებმა სოციალისტური სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების საქმეში, რაც ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების საფუძველზეა მოპოვებული.

სომხეთის მშრომელებს, კერძოდ, მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ მეცხოველეობის განვითარების დარგში. საქართველოს დელეგაციამ მოიარა სომხეთის სსრ ხუთი რაიონი. ამ რაიონებში ჩვენ ვნახეთ სომხეთის ასობით კოლმეურნე მეცხოველე, რომლებიც მუშაობენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების დარგში ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის მიერ დასახული ამოცანების განსახორციელებლად.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბერიას სახელობის რაიონის მეცხოველეთა მუშაობა. აქ ყველაზე საგრძნობია სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. მიმდინარე წლის 8 თვის მანძილზე ამ რაიონის კოლმეურნეობებში ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია საშუალოდ 1.425 ლიტრი რძე, მაშინ როცა 1950 წლის ამავე პერიოდში მიღებული იყო 594 ლიტრი. სოფლების დავიდაშენის, ახტანაკის, ნორაგავიტის, ნორ-კოხპის და სხვ. კოლმეურნეობების ცალკეულმა მეცხოველეობის ფერმებმა მარტო რვა თვის განმავლობაში წველადობა 3-4-ჯერ გაადიდეს. წველადობის ასეთი მკვეთრი გადიდება პირუტყვის კვების და მოვლა-შენახვის, მეცხოველეობის ფერმებში საწარმოო, ორგანიზაციული და სააგიტაციო მუშაობის ძირეული გაუმჯობესების შედეგია.

პარტიული და საბჭოთა ორგანოები ყოველდღიურად ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებას, სწავლობენ თვითეული კოლმეურნეობის კონკრეტულ პირობებს, რის შედეგადაც ნახულობენ ახალ რეზერვებს და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების გამოუყენებელ შესაძლებლობებს. ამ რაიონის კოლმეურნეობათა ფერმებში პირუტყვი გადაყვანილია სტაციონალურ შენახვაზე, შემოღებულია მწვანე კონვეიერი, ხბოებს ხელით კვებავენ, მოწყობილია ელექტროწველა, ავტოსარწყულებლები, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია ჯოგის სტრუქტურა და ჯიშობრივი შემადგენლობა.

ორი წლის წინათ სოფელ შინგავიტის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში ერთი საფურაჟე ძროხის წველადობა მხოლოდ 480 ლიტრს შეადგენდა. ამჟამად ფერმა დაკომპლექტებულია მაღალპროდუქტიული პირუტყვით. ახლა პროდუქტიულობის მხრივ ეს ფერმა ერთ-ერთი საუკეთესოა რაიონში. ამ ფერმაში მიმდინარე წლის რვა თვეში ყოველ ძროხაზე მიღებულია 2.410 ლიტრი რძე, ხოლო ფერმის რეკორდისტმა ძროხამ „რიმამ" 210 დღის განმავლობაში 3.480 ლიტრი რძე მოიწველა. ფერმაში ამჟამად იბრძვიან თვითეულ ძროხაზე 3.500 ლიტრი რძის მიღებისათვის. საძროხეებში გამოკრულია ძროხების სიები და აღნიშნულია თვითეულმა მწველავმა რომელ დღეს რამდენი რძე მიიღო. თვითეული მწველავი, სანამ მუშაობას შეუდგებოდეს, სიაში ამოწმებს წინა დღის მაჩვენებლებს, და თუ ძროხების რომელიმე ჯგუფის წველადობა შემცირებულა, სწრაფად მოძებნის და აღმოფხვრის წველადობის შემცირების მიზეზებს. აღრიცხვის ასე დაყენების მეოხებით თვითეულმა მწველავმა ყოველდღე იცის არა მარტო ის, თუ პირადად თვითონ როგორ ასრულებს ვალდებულებას, არამედ ისიც, თუ როგორ ასრულებენ ვალდებულებას სხვა მწველავებიც. ეს სოციალისტურ შეჯიბრებას ფართო საჯაროობის ხასიათს აძლევს და თვითეულ მუშაკს უნერგავს თავისი მუშაობისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას. ამჟამად ეს საკოლმეურნეო ფერმა მოწინავე გამოცდილების გავრცელების კერა გახდა.

ფერმაში შემოღებულია ელექტრომექანიკური წველა, მოწყობილია პირუტყვის ავტოსარწყულებლები. ყველა ხბოს ხელით კვებავენ. მოზარდეულის გამოზრდის ეს მეთოდი ნორმირებული კვების შესაძლებლობას იძლევა. მოზარდეული ნორმალურად ვითარდება და უფრო ადვილი ხდება წონის საშუალო სადღეღამისო მატების სასურველად დაგეგმვა.

ბერიას რაიონის კოლმეურნეებს დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწევს ერევნის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

კალინინის რაიონის სოფელ სარატოვკის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში 1951 წლის 1 იანვრისათვის 449 ძროხა ჰყავდათ. მიმდინარე წლის რვა თვის განმავლობაში საფურაჟე ძროხაზე საშუალოდ მიღებულია 1.867 ლიტრი რძე. ამავე ფერმაში მიმდინარეობს მუშაობა ახალი ჯიშიანი ჯგუფის პირუტყვის გამოსაყვანად. ამ ჯგუფის პირუტყვიდან ფერმას ჰყავს 150 ძროხა. საშუალოდ ძროხების ცოცხალი წონაა 440 კილოგრამი. თითო ძროხაზე საშუალოდ მიღებულია 2.238 ლიტრი რძე, ხოლო 26 ძროხამ მოიწველა 3.000-დან 4.000-მდე ლიტრი თვითეულმა.

წარსული წლების მაგალითმა კოლმეურნეები დაარწმუნა, რომ საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს პირუტყვის შენახვას ზაფხულში. პროდუქტიულობის შემდგომი ზრდის უზრუნველსაყოფად კოლმეურნეობამ წელს უკვე მოაწყო პირუტყვის ბანაკური შენახვა. საძოვრებზე მოწყობილია საბმურები და ბაგები. ძროხები დამატებით იღებენ მწვანე მასას 10 კილოგრამის რაოდენობით, 2-3 კილოგრამ კონცენტრირებულ საკვებს, აგრეთვე ადრე ჩადებულ სილოსს. ამასთან ერთად პირუტყვი დღეღამის განმავლობაში ძოვს. ფერმაში ძროხებს სამჯერ წველიან.

სტეპანავანის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 1.440 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ჰყავთ, აქედან 450 ძროხა. გასული წლის რვა თვეში აქ საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს 1.650 ლიტრი რძე, ცალკეულ ძროხებზე კი 4.000-მდე ლიტრი.

ამავე რაიონის სოფელ კათნახპიურის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ფერმებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებაში, ძროხების ბერწიანობის ლიკვიდაციასა და მოზარდეულის შენარჩუნებაში. ფერმის 205 ძროხიდან ჯერჯერობით დახბოიანდა 157, მიღებული ნამატი მთლიანად შეინარჩუნეს.

ფერმაში მექანიზებულია წველა, წყლის მიწოდება, ხბოების მთელი სულადობა გადაყვანილია ხელით კვებაზე. საძოვრებზე ფერმის პირუტყვის სულადობას ბანაკური წესით ინახავენ და საძოვრებს კარგად იყენებენ. ძროხების მეწველ სულადობას ადრეულ სილოსს აჭმევენ და დამატებით კვებავენ მწვანე მასით.

სტეპანავანის და კალინინის რაიონების კოლმეურნეობებში და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ლორის საჯიშე საბჭოთა მეურნეობაში წარმოებს მუშაობა მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ლორის ტიპის გამოსაყვანად.

აღნიშნული რაიონების საჯიშე ფერმებში და ლორის საჯიშე საბჭოთა მეურნეობაში წყვილების უნარიანი შერჩევით და ჯიშიან მწარმოებელთა გამოყენებით ხელოვნური დათესლვის გზით შექმნილია მაღალპროდუქტიული პირუტყვის სულადობა.

პირუტყვის შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად, ჯიშიანი საქონლის ხვედრითი წონა სტეპანავანის ჯიშსაშენის მოქმედების რაიონებში შეადგენს 75 პროცენტს, მაშინ როცა საერთოდ რესპუბლიკაში იგი სულ 35,4 პროცენტს შეადგენს.

ლორის საჯიშე საბჭოთა მეურნეობა და სტეპანავანის ჯიშსაშენის მოქმედების რაიონები სხვა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის ჯიშიანი მოზარდეულის ძირითადი მიმწოდებლები გახდნენ. ისინი უდიდეს გავლენას ახდენენ სანაშენე საქმის დონის ამაღლებაზე.

მიმდინარე წლის რვა თვეში ლორის საბჭოთა მეურნეობამ თითო ძროხაზე საშუალოდ 2.297 ლიტრი რძე მიიღო. ძროხის საერთო რაოდენობიდან 90 პროცენტის წლიური წველადობა 3.000 ლიტრი და მეტია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჯიშიანი მოზარდეულის გამოზრდას. ყველა ხბოს ხელით კვებავენ. პირველ ათ დღეს ხბოებს დედის რძე ეძლევათ. სულ სარძეო პერიოდში ხბოს ეძლევა 390-მდე ლიტრი მოუხდელი რძე, 1.500-მდე ლიტრი მოხდილი რძე და 300 კილოგრამი კონცენტრირებული საკვები, ხოლო თივა შეუზღუდველად. ხბოები მოთავსებული არიან ნათელ, სუფთა და მშრალ სახბორეებში. ასეთი მოვლა-პატრონობისა და კვების შედეგად ჯიშიანი ხბოები ერთი წლის ასაკში 300-მდე კილოგრამს იწონიან.

საბჭოთა მეურნეობაში გაწეულია დიდი მუშაობა ელექტროწველის დანერგვისათვის. წყლის მიწოდების, საკვების მიცემის და ნაკელის გატანის მექანიზაციისათვის.

ფართოდაა გაშლილი ინსტიტუტების შეფობა კოლმეურნეობებისადმი. მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომლის დირექტორია პროფესორი რუხკიანი, შეფობას უწევს მთელ რიგ კოლმეურნეობებს და ეხმარება მათ მოზარდეულის გაზრდის სწორ ორგანიზაციასა და ხბოების ხელით კვებაზე გადაყვანაში. სევანის რაიონის რვა კოლმეურნეობაში ინსტიტუტი ახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს მეცხოველეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

საკვებმოპოვების ინსტიტუტი (დირექტორი ამხ. აგაბაბიანი) სერიოზულ მუშაობას ეწევა კოლმეურნეობებში მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესების, ბალახთა ნარევის შერჩევისა და მეთესლეობის დარგებში. კალინინის რაიონის კოლმეურნეობები გადაქცეული არიან ბალახთა მეთესლეობის კერად. ეს რაიონი სომხეთის სხვა რაიონებს ამარაგებს ბალახების თესლით.

ვეტერინარიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი (დირექტორი ამხ. ბაიბუთიანი) შეფობას უწევს ოთხი რაიონის კოლმეურნეობებს და ეხმარება მათ დაავადებათა თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი ამოცანა ის არის, რომ სომხეთის მეცხოველეთა მუშაობის მოწინავე მეთოდები, რომელთა შედეგად მიღწეულია კარგი მაჩვენებლები პირუტყვის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის გადიდების საქმეში, ფართო მასშტაბით დავნერგოთ საქართველოს კოლმეურნეობებში.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მეცხოველეთა შეჯიბრება ახლა უფრო პასუხსაგებ პერიოდში — პირუტყვის გამოზამთრებისათვის მომზადების პერიოდში შედის. თავის დროზე მომზადება პირუტყვის გამოზამთრებისათვის, საკვების დაგროვების სახელმწიფო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისადმი დახმარების გაძლიერება, მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების უფრო გაბედულად დანერგვა საკოლმეურნეო წარმოებაში მეცხოველეთა სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი საკითხებია. მეცხოველეობის მუშაკთა ღირსების საქმეა პირნათლად შეასრულონ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი, დაუღალავად იბრძოლონ მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

საუკეთესოდ მოვაწყოთ მასობრივი საკოლმეურნეო კადრების მომზადება

გასული წლის ოქტომბრიდან მთელ საბჭოთა კავშირში შემოღებულია მასობრივი საკოლმეურნეო კადრების მომზადება სამწლიან აგროზოოტექნიკურ კურსებზე. სწავლების სამივე წლისათვის შედგენილია ერთიანი სასწავლო გეგმა. კოლმეურნეობებში მოწყობილია აგროზოოტექნიკური სამწლიანი კურსები, სადაც წარმოებისაგან მოუწყვეტლად ამზადებენ მემცენარეობისა და მეცხოველეობის ოსტატებს.

კურსებზე სწავლების პირველი წლის პროგრამით გათვალისწინებულია აგროზოოტექნიკური მინიმუმის დაუფლება, რომელიც საჭიროა მემცენარეობაში და მეცხოველეობაში სამუშაოდ.

სწავლების მეორე წლის პროგრამა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის მეორე თანრიგის ოსტატის მომზადებას, რომელიც დაუფლებული იქნება ერთი კულტურის ან ერთნაირი კულტურების ჯგუფის მაღალი მოსავლის მიღების წესებსა და მოწინავე ხერხებს, ან მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობის მიღების ხერხებსა და მეთოდებს, რაც აუცილებელია მესამე წლის პროგრამის მაღალხარისხოვნად ათვისებისათვის.

სწავლების მესამე წლის მთავარი ამოცანაა მომზადება სოფლის მეურნეობის პირველი თანრიგის ოსტატისა, რომელიც დაუფლებული იქნება სა-...

...გად უნდა გაითვალისწინონ, რომ ისინი ვალდებული არიან საჭირო კადრები ძირითადად ადგილობრივ მოამზადონ და ყოველმხრივ იზრუნონ აგროზოოტექნიკური კურსების მუშაობის მაღალხარისხოვნად წარმართვისათვის.

...

მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება

რუსთავი

მხატვრული თვითმოქმედების საქალაქო დათვალიერებამ, რომელიც ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის კლუბში მოეწყო, მრავალი ნიჭიერი შემსრულებელი გამოავლინა.

მუშათა საერთო საცხოვრებლის მომღერალთა გუნდმა კარგად შეასრულა სიმღერა სტალინზე, სამშობლოზე და ქართული ხალხური სიმღერა სალამურის აკომპანემენტით.

დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა მეტალურგიული ქარხნის ბლუმინგის საამქროს სიმღერისა და ცეკვის გუნდის მიერ შესრულებულმა მსოფლიოს დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნმა, აგრეთვე სიმღერებმა „მშვიდობის დაცვა“, „კალინკა“, ბელორუსულმა ცეკვამ „ლიავონიხა“.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა ძმების მამალაძეების, ი. ბურჭულაძისა და დოლიძის მიერ შესრულებულმა სიმღერამ „მხედრული“ და „სიმღერა სტალინზე“.

დამაკმაყოფილებელი იყო ახალგაზრდა მშენებელთა საერთო საცხოვრებლ-...

...

თელავი

...

ჭიდა

...

ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობის გათამაშების შედეგები

1951 წლის გათამაშება ფეხბურთის საკავშირო პირველობაზე 15 უძლიერეს გუნდს შორის დამთავრებულია. ახლა შეიძლება შევაჯამოთ გათამაშების საბოლოო შედეგები და გამოვიტანოთ ზოგიერთი დასკვნა.

აღსანიშნავია, რომ გათამაშების ცხრილის პირველ ხუთეულში ორი ახალგაზრდა კოლექტივი შევიდა: „შახტიორი“ (სტალინო) და „კრილია სოვეტოვ“ (კუიბიშევი)...

...ქულით ჩამორჩა საბჭოთა არმიელების გუნდს.

თბილისელების წარმატებას პირველ წრეში ხელს უწყობდა ინდივიდუალური თამაშიდან კოლექტიურ თამაშზე გადასვლა, რაც უსათუოდ უფროსი...

საბჭოთა კავშირის 1951 წლის ჩემპიონი ფეხბურთში—საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდი (მოსკოვი). მარცხნიდან მარჯვნივ: გუნდის კაპიტანი სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. გრინინი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ნიკანოროვი, სპორტის ოსტატები ი. ნირკოვი, ა. ბაშაშკინი, ა. პეტროვი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ჩისტოხვალოვი, სპორტის ოსტატი ვ. ხოლოვიოვი, სპორტის დამსახურებული ოსტატები ა. ვოდიაგინი, ვ. ნიკოლაევი, ვ. დიომინი და სპორტის ოსტატი ვ. ელიზაროვი.

ფოტო ბ. პუშკინისა (საკდესას ფოტოქრონიკა)

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც ფეხბურთში ქვეყნის 1951 წლის პირველობის გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკავა. მარცხნიდან მარჯვნივ: გუნდის კაპიტანი სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ლოლობერიძე, სპორტის ოსტატები ვ. მარღანია, ნ. თოდრია, ნ. ძიაბშიფა, დ. რუსაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატები ვ. პანიუკოვი და გ. ანთაძე, სპორტის ოსტატი ი. ვარდიმიადი, სპორტის ოსტატი ვ. ელოშვილი, კ. გაგნიძე.

★ ★ ★

...გამარჯვებული გუნდები ნგარიშით იგებდნენ.

...მწვრთნელის ამხ. იაკუშინის მუშაობის შედეგია.

მეორე წრე დინამოელებმა შედარებით სუსტად ჩაატარეს. რა არის ამის მიზეზი? პირველი ის, რომ მათ ძირითა-...

...

თბილისის „დინამომ“ განსაკუთრებით კარგად ჩაატარა პირველი წრე. მას დიდი შესაძლებლობა ჰქონდა გათამაშების პირველ წრეში პირველ ადგილზე გამოსულიყო; ის მხოლოდ ერთი...

...ქოთა კავშირში. კარგად ჩაატარა პირველი წრე ჯოჯუამ, რომელსაც უნდა მივუთითოთ ზოგიერთ შემთხვევაში ეფექტისათვის თამაშზე. უმეტეს თამაშებში კარგი იყვნენ ანთაძე, პანიუკოვი, სარჯველაძე, ელოშვილი, ვარდიმიადი, მახარაძე, რუსაძე, თოდრია. სწრაფი, მონდომებული თამაში გვიჩვენა...

...უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის შეჯიბრების მსაჯებმა მეტწილად მაღალ დონეზე ჩაატარეს თამაშები, გარდა ზოგიერთისა (მაგალითად, ლენინგრადის „ზენიტი“ — თბილისის „სპარტაკი“).

ნ. ჩხატარაშვილი

საკავშირო კატეგორიის მსაჯი

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელებს გადაეცათ ჯილდოები

8 ოქტომბერს რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში საზეიმო ვითარებაში გადაეცათ ჯილდოები თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელებს, რომლებმაც ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის 1951 წლის პირვე-...

...მიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ა. ფარულავამ.

— თბილისის „დინამოელებმა“, — თქვა მან, — ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. მათ ფეხბურთში სსრ კავშირის 1951 წლის პირველობის გათამა-...

...ხურებულ ოსტატებს ა. ლოლობერიძეს, გ. ანთაძეს, სპორტის ოსტატებს ნ. ძიაბშიფას, ვ. მარღანიას, ი. სარჯველაძეს, ნ. თოდრიას, მ. ჯოჯუას, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვ. პანიუკოვს, ...

დარბაზობა ბერლინში საბჭოთა მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

ბერლინი, 9 ოქტომბერი. (საქდესი). გუშინ გერმანიაში საბჭოთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარემ არმიის გენერალმა ვ. ი. ჩუიკოვმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან აკრედიტებული სსრ კავშირის დიპლომატიური მისიის მეთაურმა ელჩმა გ. მ. პუშკინმა დარბაზობა გამართეს საბჭოთა მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ვ. ვ. კუზნეცოვი და რსფსრ განათლების მინისტრი ი. ა. კაიროვი, რომლებიც ბერლინში ჩამოვიდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მეორე წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით.

დარბაზობას დაესწრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ვილჰელმ პიკი, სახალხო პალატის თავმჯდომარე იოჰანეს დიკმანი, პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეველი, პრემიერ-მინისტრის მოადგილეები ვალტერ ულბრიხტი, ოტო ნუშკე, ჰენრიხ რაუ და ჰანს ლოხი. დარბაზობას დაესწრნენ აგრეთვე უცხოეთის მთავრობათა დელეგაციები, რომლებიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მეორე წლისთავის დღესასწაულზე ჩამოვიდნენ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან აკრედიტებული დიპლომატიური მისიების მეთაურები და მრჩევლები.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

ბუქარესტი, 10 ოქტომბერი. (საქდესი) რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება „სტახანოველის" და „წარმოების მოწინავის" წოდების დაწესების შესახებ, სტახანოვური მოძრაობისა და წარმოების მოწინავეთა მოძრაობის წახალისების შესახებ.

იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირში არსებული სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის გამოცდილების გავრცელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ნათქვამია დადგენილებაში, სტახანოვური მოძრაობის შემდგომისათვის საუკეთესო პირობების შექმნის, მოწინავე სტახანოველთა წახალისებისა და გამოცდილების პოპულარიზაციის მიზნით წესდება წოდებანი—„წარმოების მოწინავე", „წარმოების მოწინავე ბრიგადა", „მოწინავე ცვლა, საამქრო". წესდება აგრეთვე წოდებანი: „სტახანოველი", „სტახანოვური ბრიგადა", „სტახანოვური ცვლა", „მრეწველობის დარგის საუკეთესო სტახანოველი".

იმ საწარმოებს, რომლებიც საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწევენ, ენიჭებათ წოდებანი: „სამინისტროს მოწინავე საწარმო", „რუმინეთის მოწინავე საწარმო".

მინისტრთა საბჭოს და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დაწესებულია ჯილდოები: წარმოების მოწინავის ვარსკვლავი, მოწინავე ბრიგადის ალამი და ცვლის გარდამავალი წითელი დროშა, სამინისტროს და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და რუმინეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გარდამავალი წითელი დროშა, ნიშანი „სოციალისტური შეჯიბრების წარჩინებული".

ეს ღონისძიებანი, აღნიშნულია დადგენილებაში, გამოიწვევენ შრომის ნაყოფიერების გადიდებას, სტახანოვური მოძრაობის განვითარებას, პირველი ხუთწლედის წარმატებით შესრულებას, რუმინეთში სოციალიზმის საფუძვლების მალე აშენებას და მთელ მსოფლიოში მშვიდობის ძალების განმტკიცებას.

ბერნჰარდ კელერმანის მიმართვა დასავლეთ გერმანიის მწერლებისადმი

ბერლინი, 10 ოქტომბერი. (საქდესი). გაზეთმა „ბერლინერ ცაიტუნგმა" გამოაქვეყნა გერმანელი მწერლის, ნაციონალური პრემიის ლაურეატის ბერნჰარდ კელერმანის მიმართვა დასავლეთ გერმანიის მწერლებისადმი.

„თავს ნუ მოიტყუებთ, ძვირფასო მეგობრებო! — ნათქვამია მიმართვაში. — კრიზისი სწრაფად გვიახლოვდება. თუ ჩვენ დრო დავკარგეთ, დასავლეთ გერმანიას იარაღის არსენალად გადააქცევენ. ამერიკა დროს არ კარგავს. იგი მოქმედებს! სულ უფრო გვიახლოვდება საფრთხე მესამე მსოფლიო ომისა, რომელსაც ამერიკა ამზადებს. მაგრამ ჩვენი მოწინააღმდეგე, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ამერიკელი ხალხი როდია. ჩვენი მოწინააღმდეგეა ყველაზე საშინელი მტერი ამ ქვეყნად, უოლ სტრიტი და ამერიკის სამხედრო კონცერნები. უოლ-სტრიტსა და სამხედრო კონცერნებს არც გული გააჩნიათ, არც სული, არც სინდისი: მათ არ იციან რა არის სიბრალული ან ადამიანობა. ჩემო მეგობრებო, შეხედეთ კორეას! ომი მათ ბიზნესად გაიხადეს და სურთ იმ იმპერიალიზმის ნიღბით, რომელმაც არ იცის საზღვრები, გაჰყიდონ თავიანთი ტანკები, ზარბაზნები, თვითმფრინავები და გრანატები. ის ყოველივე ის, რაც მათ სურთ. ისინი იდეალებისათვის როდი იბრძვიან, ისინი იბრძვიან, რათა შეიძინონ დოლარები. შეიძინონ არა მილიონობით, არამედ მილიარდობით დოლარი! მათ სურთ თავიანთი საწარმოები ოქროს ფაბრიკად გადააქციონ, მათი ბანკების ჩქეიონერებს სურთ რაც შეიძლება მეტი დივიდენდი ჩაიჯიბონ.

მათ სულაც არ აწუხებთ ის, რომ მილიონობით მათი დაქირავებულნი სისხლით ილებიან ბრძოლის ველებზე. მათ სულაც არ აწუხებთ საკითხი, მოისპობა თუ არა გერმანია, ევროპის და მთელი მსოფლიოს კულტურა. ასეთია, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, მოწინააღმდეგის სახე, ვისი ტანკებიც უკვე იღებს მონაწილეობას ლუნებურგის ველზე გამართულ მანევრებში.

გერმანიას მხოლოდ ერთი გზა აქვს ხსნისათვის: დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის მთელმა ხალხმა უნდა შექმნას ერთიანი, გრანიტივით მტკიცე ბლოკი. მთელი ხალხი უნდა გამსჭვალოს მშვიდობისადმი ერთიანი მისწრაფებით, მშვიდობისადმი ნათელი, ურყევი მისწრაფებით, რომელიც როგორც ცეცხლის ალი გაანათებს მთელ დედამიწას. მხოლოდ ეს ურყევი ერთიანობა და ეს მხურვალე მისწრაფება მშვიდობისადმი დაარწმუნებს და აღაფრთოვანებს მშვიდობის მილიონობით ნამდვილ და კეთილშობილ მომხრეთ ამერიკასა და მთელ მსოფლიოში რაც შეიძლება მალე დაგვეხმარონ და ჩაშალონ მოსპობის გიჟური გეგმები, რომლებსაც ამზადებენ უოლ-სტრიტი და შეიარაღების კონცერნები.

მეგობრებო! ჩვენ ყოველი თქვენგანი გვესაჭიროება. მოვუწოდებთ ყველას, ვინც მეტყველებს და ყოყმანობს: დროა! დროა! მოითხოვეთ სრულიად გერმანიის თათბირი.

ვინც მთელი ძალღონით ჩვენ არ გვეხმარება, იგი ნაწილობრივ კისრულობს ბრალს იმ კატასტროფაში, რომელიც გერმანიას მოელის".

ბერძენი პატრიოტის მანოლის გლეზოსის მიმართვა

ათენი, 9 ოქტომბერი. (საქდესი). აქ მოვიდა ცნობა, რომ საბერძნეთის წინააღმდეგობის მოძრაობის გმირმა, პარლამენტის დეპუტატმა მანოლის გლეზოსმა, რომელიც ამჟამად ავეროფის საპატიმროში ზის, 8 ოქტომბერს შიმშილობა გამოაცხადა და მიმართვები გაუგზავნა ი. ბ. სტალინს, მაო ძე-დუნს, აგრეთვე ტრუმენს, ეტლის, ორიოლს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს და პირადად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ყველა დეპუტატს, ჩინეთის ეროვნულ პოლიტიკურ საკონსულტაციო საბჭოს, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პარლამენტებს, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ინდოეთის პარლამენტებსა და პირადად ამ ქვეყნების პარლამენტების დეპუტატებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საკითხების კომისიას, ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციას, დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციას, გაზეთ „პრავდას", ჩინეთისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გაზეთებს, აგრეთვე გაზეთ „ლუმანიტეს", „უნიტას", „დეილი უორკერს", „ნიუ-იორკ ტაიმსსა" და ლონდონის გაზეთ „ტაიმსს".

9 სექტემბრის არჩევნებში, — წერს მანოლის გლეზოსი, — მე, როგორც „ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტიის" წარმომადგენელი ათენის საარჩევნო ოლქში ამირჩიეს დეპუტატად. მე მივიღე უპირატესობის 28.702 ჯვარი (ხმა — რედ.), ე. ი. სამჯერ მეტი, ვიდრე საჭიროა დეპუტატის არჩევისათვის. 2 ოქტომბერს პირველი ინსტანციის სასამართლომ № 9364/51 გადაწყვეტილებით დეპუტატად გამომაცხადა.

მე ვარ ეროვნული წინააღმდეგობის მებრძოლი და, როგორც ასეთი, მონაწილეობას ვიღებდი ბერძენი ხალხის დაულალავ ბრძოლაში ჰიტლერელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლისათვის ფაშისტების მიერ საბერძნეთის ოკუპაციის პერიოდში ჰიტლერელებმა სიკვდილი მომისაჯეს. ამჟამად უკვე სამი წელიწადია საპატიმროში ვიმყოფები, რადგან ჩემი პოლიტიკური რწმენისათვის მისჯილი მაქვს სიკვდილი. ხალხმა 9 სექტემბრის არჩევნებში ხმა მისცა ჩვენი ქვეყნის დამშვიდებას, აღდგენასა და ნორმალური მდგომარეობის შექმნას. ამით ხალხმა მთავრობას, პოლიტიკურ და სასამართლო ხელისუფლებს დაავალა გავეთავისუფლებინეთ მე და ხალხის სხვა რჩეულნი, რათა შეგვძლებოდა თავისუფლად და პატიოსნად შეგვესრულებინა პარლამენტში ხალხის წარმომადგენელთა მოვალეობა. ხალხმა ჩვენ აგვირჩია დეპუტატებად და დაავალა მთავრობას შეესრულებინა კონსტიტუციის დებულება, რომელიც ამბობს:

„დეპუტატი, რომელიც დაპატიმრებულია, დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს პარლამენტის სხდომამდე ოთხი კვირით ადრე" და შემდეგ: „პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოცხადებული დეპუტატი ასრულებს დეპუტატის ფუნქციებს და სარგებლობს მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებით".

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მე არ გამათავისუფლეს და არის ცნობები, რომ მთავრობა არც კი აპირებს განიხილოს ჩემი საკითხი, აგრეთვე საკითხი სხვა პატიმართა და გადასახლებულთა — ხალხის რჩეულთა: სარაფისის, გავრილიდისის, ჰაჯიმიხალისის, იმერიოტისის, მესტერკისის, ამბატელოსის, ცოხასის, ილიუსის, რომლებიც აგრეთვე არჩეული იყვნენ დეპუტატებად.

მოგმართავთ თქვენ და თავისუფალ ხალხთა საზოგადოებრივ აზრს და გთხოვთ გამოიყენოთ თქვენი გავლენა და თქვენი შესაძლებლობანი იმისათვის, რომ აღადგინოთ საბერძნეთში კონსტიტუციური და დემოკრატიული პრინციპების პატივისცემა.

გლეზოსი, ათენის დეპუტატი, ავეროფის საპატიმრო".

ისრაელის ახალი მთავრობის შედგენა

ტელ-ავივი, 9 ოქტომბერი. (საქდესი). მემარჯვენე სოციალისტური პარტიის მაპაის ლიდერმა ბენ-გურიონმა 7 ოქტომბერს პარლამენტს წარუდგინა ახალი მთავრობა, რომელშიც შედიან მაპაისა და რელიგიური პარტიების წარმომადგენლები. 13 მინისტრის პორტფელიდან 9 პორტფელი მაპაის ლიდერებმა თვითონ დაიტოვეს, ხოლო 4 რელიგიურ პარტიებს მისცეს.

კომპარტიის წარმომადგენელმა მიკუნისმა პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა, რომ ახალი კოალიციური მთავრობა მხოლოდ ოდნავ შეცვლილი წინანდელი მთავრობაა, „რომელიც არ სარგებლობდა ხალხის ნდობით" და ამიტომ იძულებული გახდა გადამდგარიყო.

„მთავრობის კოალიცია, რომელიც პარლამენტს წარმოუდგინეს, — თქვა მიკუნისმა, — ის კოალიციაა, რომელმაც სახელმწიფო პოლიტიკურ და ეკონომიურ გაკოტრებამდე მიიყვანა, დააქვეითა ხალხის საარსებო დონე, გამოიწვია ინფლაცია და შიმშილი მოუტანა ხალხის მასებს". მიკუნისმა აღნიშნა, რომ ახალი მთავრობის მიერ წარმოდგენილ პროგრამაში არ არის გათვალისწინებული მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

კომპარტია, განაცხადა მიკუნისმა, მზადაა მხარი დაუჭიროს მთავრობას, რომელიც იცავს მშვიდობას, ეროვნულ დამოუკიდებლობასა და დემოკრატიას, რომელიც იცავს მშრომელთა ინტერესებს, მაგრამ კომპარტია ხმას მისცემს ბენ-გურიონის მიერ წარმოდგენილი მთავრობისა და მისი „ახალი" პროგრამის წინააღმდეგ. „ასეთ მთავრობას კომპარტია უნდობლობას უცხადებს", — თქვა მიკუნისმა.

ბენ-გურიონის მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებას პარლამენტში ხმა მისცა 56 დეპუტატმა, 40-მა ხმა მისცა ნდობის წინააღმდეგ.

კანტონალური არჩევნები საფრანგეთში

პარიზი, 8 ოქტომბერი. (საქდესი). გენერალური მრჩევლების არჩევნების კენჭისყრის პირველი ტური, რაც გუშინ მოეწყო, მოწმობს კომუნისტური პარტიის დიდ წარმატებას, რომელიც შეგროვებული ხმის საერთო რაოდენობით პირველ ადგილზე გამოვიდა. მეტროპოლიის 90 დეპარტამენტიდან 89 დეპარტამენტში კენჭისყრის შედეგების შესახებ დღეს გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობებით კომუნისტურმა პარტიამ მოაგროვა ხმების 23,8 პროცენტი. კომუნისტური პარტიის შემდეგ მოდიან ეგრეთწოდებული „დამოუკიდებელნი" და „გლეხთა პარტია", რომლებმაც ხმების 21,3 პროცენტი მოაგროვეს, შემდეგ არიან სოციალისტები — 17,2 პროცენტი, დეგოლელები — 13,4 პროცენტი, ეგრეთწოდებულ „მემარცხენე რესპუბლიკელთა გაერთიანებაში" შემავალ მემარჯვენე დაჯგუფებათა ბლოკი — 13 პროცენტი, „სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის" კათოლიკური პარტია — 8,9 პროცენტი.

ეს ცნობები მოწმობენ, რომ მიუხედავად ანტიკომუნისტური კამპანიისა, რასაც ყველა რეაქციული პარტია ეწევა, კომუნისტური პარტია ამ ჯერადაც გამარჯვებული გამოვიდა საარჩევნო ბრძოლაში. ზევრ კანტონში კომუნისტური პარტიის კანდიდატებმა ხმის აბსოლუტური უმრავლესობა მიიღეს და, მაშასადამე ამ კანტონებში აღარ მოხდება კენჭისყრის მეორე ტური.

წინააღმდეგობის რესპუბლიკური და ანტიფაშისტური კავშირის კანდიდატთა წარმატების გამო, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ წამოაყენა, ყველა ჯურის რეაქციონერები ამჟამად გაძლიერებით ემზადებიან ბლოკი შეკრან კენჭისყრის მეორე ტურში, რომელიც 14 ოქტომბერს მოეწყობა. ამ ბლოკის მეოხებით მთავრობის ბანაკის პარტიებს იმედი აქვთ გაიყვანონ თავიანთი კანდიდატები იქ, სადაც წინააღმდეგობის რესპუბლიკური და ანტიფაშისტური კავშირის კანდიდატებმა ხმას აბსოლუტური უმრავლესობა ვერ მიიღეს.

გაზეთმა „ლუმანიტემ" დღეს გამოაქვეყნა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება, რომლითაც კომპარტია, მზადყოფნას გამოთქვამს მხარი დაუჭიროს კენჭისყრის მეორე ტურში სხვა პარტიების ყოველ კანდიდატს, რომლებიც თანახმანი იქნებიან გაიზიარონ შემდეგი პროგრამა-მინიმუმი: 1. ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადება. 2. ატომური იარაღის აკრძალვა. 3. ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა და ყველა ქვეყანას შორის ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის დამყარება. 4. განათლების საერო ხასიათის წინააღმდეგ მიმართული კანონების გაუქმება. 5. დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვა და „ფრანგი ხალხის გაერთიანების" მფარველობით შექმნილი სამოქალაქო ომის ფაშისტური ჯგუფების დაშლა. 6. მშრომელთა ხელფასის გადიდება. ხელფასის გარანტირებული მინიმუმის მიღება 23.600 ფრანკის ოდენობით. 7. პენსიებისა და დახმარების გადიდება.

ირანის შაჰის კარის წრეების ინტრიგები მოსადიკის მთავრობის წინააღმდეგ

პრაღა, 9 ოქტომბერი. (საქდესი). გაზეთმა „რუდე პრავომ" დღეს გამოაქვეყნა ცნობა სათაურით: „ირანის შაჰის კარის წრეების ინტრიგები მოსადიკის მთავრობის წინააღმდეგ". ცნობაში ნათქვამია:

პრესის ცნობით, ირანის შაჰის კარის წრეები ფარულ ბრძოლას ეწევიან მოსადიკის მთავრობის წინააღმდეგ და ცდილობენ მის ადგილზე დასვან ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის მომხრე. ინგლისური გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" წერს, რომ მოსადიკის მოწინააღმდეგეებს შაჰის კარზე უნდოდათ, რომ ირანში შექმნილიყო „საერთაშორისო ნავთის კომპანია" ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალის მონაწილეობით, მაგრამ ამ გეგმის განხორციელება „შეუძლებელია, სანამ ხელისუფლებას სათავეში უდგას მოსადიკის მთავრობა".

როგორც აღნიშნავენ, ამასთან დაკავშირებით პრინცესა აშრაფ ფეჰლევი და მეჯლისის ზოგიერთი დეპუტატი ჯემალ იმამის მეთაურობით ყოველნაირად ცდილობენ ხელისუფლების სათავეში მოჰქციონ ინგლისის ცნობილი აგენტი სეიდ ზია-ედ-დინი.

მაგრამ როცა მოსადიკი დაემუქრა, რომ ხალხს მიმართავს და ამხილებს შაჰის კარის ამ მახინაციებს, პრინცესა აშრაფ ფეჰლევი, როგორც იუწყებიან, იძულებული გახდა შვეიცარიაში წასულიყო, ირანის შაჰის დედაც აპირებს თეირანიდან წასვლას. ჯემალ იმამმა ზოგიერთ სხვა დეპუტატთან ერთად გამოაქვეყნა განცხადება, რომ იგი დროებით მხარს დაუჭერს მოსადიკს, „სანამ ირანის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება არ იქნება განხილული უშიშროების საბჭოში".

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 9 ოქტომბერი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ ფრონტის ყველა უბანზე კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების გააფთრებული იერიშების მოგერიებას და დიდ ზარალს აყენებდნენ მათ ცოცხალ ძალასა და ტექნიკას მტრისა.

ფრონტის დასავლეთ და ცენტრალურ უბნებზე სახალხო არმიის ნაწილები გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა გაერღვია სახალხო არმიის თავდაცვის ზღუდეები.

ფრონტის აღმოსავლეთ უბანზე სახალხო არმიის ნაწილებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ხუთი იერიში ჰანგუს ჩრდილოეთით მდებარე რაიონში.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ და თვითმფრინავებმა გამანადგურებელ მფრინავთა რაზმებმა ჩამოაგდეს მტრის 7 თვითმფრინავი, რომლებმაც ბარბაროსულად დაბომბეს და ცეცხლი დაუშინეს ფხენიანს, ვონსანს, ხეანჯუს, სინჩხონსა და სხვა რაიონების მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებს.

კესონის მოლაპარაკების გამო

კიმ ირ სენისა და პინ დე-ხუეის პასუხი რიჯუეისადმი

პეკინი, 10 ოქტომბერი. (საქდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი ფრონტიდან იუწყება, რომ 9 ოქტომბერს კორეის სახალხო არმიის უმაღლესმა სარდალმა გენერალმა კიმ ირ სენმა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა სარდალმა გენერალმა პინ დე-ხუეიმ პასუხი გაუგზავნეს გენერალ რიჯუეის მისი 8 ოქტომბრის მიმართვაზე. პასუხში ნათქვამია:

9 ოქტომბერს მივიღეთ თქვენი 8 ოქტომბრის მიმართვა.

მიმართვაში თქვენ კვლავ ცდილობთ დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკების გაჭიანურებისათვის პასუხისმგებლობა გადმოაკისროთ ჩვენს მხარეს. ჩვენ ეს სრულიად დაუსაბუთებლად მიგვაჩნია. თქვენდამი ჩვენს წინა მიმართვებში მთელი სიცხადით ჩამოვაყალიბეთ ფაქტები და მიზეზები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკების გაჭიანურებისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება თქვენს მხარეს და რომ თქვენს მხარეს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია უარყოს ეს პასუხისმგებლობა. თქვენს უკანასკნელ მიმართვაში თქვენ აგრეთვე ვერ შესძელით ვერავითარი ახალი საბუთის წამოყენება. ამრიგად, აშკარაა, რომ უცვლელი ფაქტები არ შეიძლება არ იქნას მიღებული მხედველობაში თქვენი თვითნებური განცხადების გამო და რომ პასუხისმგებლობა, რომელიც თქვენს მხარეს ეკისრება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოხსნილ იქნას.

წარსულში თქვენმა მხარემ დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკების ადგილის ნეიტრალობის თაობაზე მიღწეული შეთანხმება გამოიყენა მხოლოდ იმ მიზნით, რომ შეეზღუდა ჩვენი მხარე, მაშინ როცა თქვენ წინასწარი განზრახვით არღვევდით ამ შეთანხმებას და შემდეგ უარყოფდით ამას იმ საბაბით, რომ თქვენ არავითარი ვალდებულება არა გაქვთ ამ ზონის მიმართ. ამიტომ ჩვენ შემოვიტანეთ წინადადება, რათა დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკების ნეიტრალური ზონის ტერიტორია გაფართოვდეს და შეადგენდეს მართკუთხედს, რომელშიც შევა კესონი და მუნსანი, ამასთან ორივე მხარემ უნდა იკისროს პასუხისმგებლობა ამ რაიონისათვის. ჩვენ აგრეთვე შემოვიტანეთ წინადადება თათბირის ადგილი გადატანილ იქნას პანმინჯონში, ამასთან ორივე მხარე თანაბრად უნდა იქნას პასუხისმგებელი მისი უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

რამდენადაც თქვენს მიმართვაში თქვენ თანახმა ხართ არჩეულ იქნას პანმინჯონის რაიონი თათბირის ადგილად და ეთანხმებით იმას, რომ ორივე მხარე ახორციელებდეს თანაბარ და პასუხსაგებ კონტროლს, იმდენად ნეიტრალური ზონის კესონსა და მუნსანს შორის გაფართოების საკითხი შეიძლება რეზერვირებულ იქნას ორივე მხარის დელეგაციების თათბირზე გადასაწყვეტად. მაშასადამე, ორივე დელეგაციამ დაუყოვნებლივ უნდა განაახლოს მოლაპარაკება დროებითი ზავის შესახებ პანმინჯონში და, როგორც ჩვენ წინა მიმართვაში მოვითხოვდით, თავის პირველ სხდომაზე შეიმუშაოს ნეიტრალური ზონის ტერიტორიის გაფართოებისა და თათბირის ადგილის უშიშროების უზრუნველყოფის პრინციპები, აგრეთვე შექმნას სათანადო აპარატი მათ წინაშე დასმული სხვადასხვა კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად.

ჩვენ მივეცით ინსტრუქცია ჩვენს მეკავშირე ოფიცრებს შეხვდნენ თქვენს მეკავშირე ოფიცრებს 10 ოქტომბერს დილის 10 საათზე იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც ორივე მხარის დელეგაციების თათბირის განახლებას ეხება.

ეკონომიური პროგრესისათვის, დემოკრატიისათვის, მშვიდობისათვის!

ტოლიატის სიტყვა რეჯო-დი-კალაბრიაში

რომი, 9 ოქტომბერი. (საქდესი). 7 ოქტომბერს გაზეთ „უნიტას" პატივსაცემად სამხრეთ იტალიაში გამართული დღესასწაულის მონაწილეთა წინაშე ქალაქ რეჯო-დი-კალაბრიაში სიტყვა წარმოთქვა იტალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა პალმირო ტოლიატიმ.

სამხრეთის ყველა მშრომელისა და დემოკრატიული მასის სახელით ტოლიატიმ პროტესტი გამოთქვა სამხრეთ იტალიის მიმართ დისკრიმინაციის პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც დე გასპერის მთავრობა ახორციელებს. მოაწყო რა მუნიციპალური არჩევნები ჩრდილოეთ და ცენტრალურ იტალიაში, მთავრობა უარს ეუბნება ამ უფლებაზე იტალიის სამხრეთი ნაწილის მოსახლეობას. მთავრობა ამგვარად მოქმედებს იმიტომ, რომ იცის — სამხრეთ იტალიის ამომრჩევლების უმრავლესობა ხმას მისცემს ქრისტიან-დემოკრატთა წინააღმდეგ, უმრავლესობა ხმას მისცემს ხალხის მოწინავე პარტიებს, კომუნისტებისა და სოციალისტების ბლოკს. რამდენადაც არჩევნები მისი პოლიტიკის დამარცხება იქნება, დე გასპერის მთავრობა, რომელიც თავის თავს „დემოკრატიულს" უწოდებს, სამხრეთ იტალიის მცხოვრებლებს უსპობს უფლებას აირჩიონ თავიანთი წარმომადგენლები!

ტოლიატიმ გაიმეორა კომპარტიის მიერ წამოყენებული მოთხოვნა — ვადამდე მოეწყოს იტალიაში საყოველთაო პოლიტიკური არჩევნები, რამაც გზა უნდა გაუხსნას მშვიდობის მთავრობას ხელისუფლებისაკენ. ახალი პოლიტიკის, მშვიდობის პოლიტიკის მოთხოვნა, ხაზგასმით აღნიშნა ტოლიატიმ, წამოყენებულ უნდა იქნას განსაკუთრებული ძალით სწორედ სამხრეთ იტალიაში, ვინაიდან ახლანდელი მთავრობის პოლიტიკა — ომის მზადებისა და გამალებული შეიარაღების პოლიტიკა ყველაზე მძიმე შედეგებს უქადის სამხრეთის ხალხის მასებს.

შინაური ბრძოლის შემდგომი გაძლიერებისა და გამწვავების თავიდან ასაცილებლად ჩვენ მოვითხოვთ, თქვა ტოლიატიმ, მთელ იტალიაში პოლიტიკური არჩევნების რაც შეიძლება მალე მოწყობას. ხალხში ცოცხლობს უწინარეს ყოვლისა მშვიდობის პოლიტიკისადმი მისწრაფება, და ხალხთან საყოველთაო და პატიოსანი კონსულტაციის შედეგი შეიძლება იყოს მხოლოდ მშვიდობისადმი ამ ნების გამოხატულება, ეს ნება საფუძველი გახდება მშვიდობის მთავრობის მოღვაწეობისათვის, რომელსაც სურს თავიდან აიცილოს ის საშიშროება, რაც იტალიას ემუქრება, და უზრუნველყოს ხალხისათვის შრომა და თანხმობა.

ტოლიატიმ თავისი სიტყვა დაამთავრა მოწოდებით — შექმნან და განმტკიცდეს იტალიელთა მაქსიმალურად ფართო ფრონტი, რომელიც შეძლებს იმას, რომ განახორციელონ მისი მისწრაფება თავისუფლებისადმი, ეკონომიური პროგრესისადმი, დემოკრატიისა და მშვიდობისადმი.

ეგვიპტელი ხალხი მოითხოვს ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულების გაუქმებას

ლონდონი, 9 ოქტომბერი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ცნობიდან ჩანს, დღეს ეგვიპტის მთავარ ქალაქებში მოეწყო დემონსტრაციები ეგვიპტის მთავრობის იმ გადაწყვეტილების მხარდასაჭერად, რომ შეწყდეს მოლაპარაკება ინგლისთან და შეტანილ იქნას პარლამენტში პროექტი დეკრეტისა ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ. დიდი დემონსტრაცია გაიმართა პორტ-საიდში. დემონსტრაციის მონაწილენი მივიდნენ ინგლისის საკონსულოსთან და ინგლისის ჯარების კლუბთან. ისინი გაიძახოდნენ ინგლისის საწინააღმდეგო ლოზუნგებსა და აცხადებდნენ, რომ მხარს უჭერენ მთავრობის გადაწყვეტილებას.

ჭადრაკის XIX საკავშირო ჩემპიონატი

გადადებული პარტიების დამთავრება

ოსტატობის კანდიდატმა ბ. გურგენიძემ კარგად გამოიყენა პოზიციური უპირატესობა და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია საერთაშორისო ოსტატ ლ. არონინთან თამაშში. ლ. არონინმა პირველი დამარცხება განიცადა ამ ტურნირში.

ასევე წარმატებით მოიგო პარტია ოსტატობის კანდიდატმა ვ. ქარსელაძემ, რომელიც ოსტატ გ. გოლდბერგთან თამაშობდა.

ოსტატობის კანდიდატი მ. შიშოვი დამარცხდა ოსტატ გ. გოლდბერგთან, ხოლო ყაიმზე შეთანხმდა საერთაშორისო ოსტატ გ. კასპარიანთან და ოსტატობის კანდიდატ ა. ბლაგიძესთან. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ოსტატობის კანდიდატ ბ. გურგენიძე—ოსტატ ს. ფურმანის, ოსტატობის კანდიდატ ა. ბლაგიძე—საერთაშორისო ოსტატ ლ. არონინის, ოსტატ ი. ლიპნიცკი—ოსტატობის კანდიდატ ა. ბლაგიძის, საერთაშორისო ოსტატ ლ. არონინ—საერთაშორისო ოსტატ გ. კასპარიანის პარტიები.

უკანასკნელი, მეთხუთმეტე ტურის წინ მდგომარეობა ასეთია: ოსტატ ა. სუეტინს აქვს 11 ქულა, ოსტატ ა. ბანიკს 9½, ოსტატ ტ. პეტროსიანს 9, საერთაშორისო ოსტატ გ. კასპარიანსა და ოსტატობის კანდიდატ მ. შიშოვს 8 ქულა თვითეულს, საერთაშორისო ოსტატ ლ. არონინსა და ოსტატ გ. გოლდბერგს 7½ თვითეულს, საერთაშორისო ოსტატ ნ. ნოვოტელნოვს 7½ თხუთმეტი შესაძლებლიდან, ოსტატ ს. ფურმანს, ოსტატობის კანდიდატებს ა ფურცხალავასა და ბ. გურგენიძეს 7 ქულა თვითეულს, ოსტატ ი. ლიპნიცკის 6½, ოსტატობის კანდიდატებს ა. ბლაგიძესა და თ. გოროვაძეს 5 ქულა თვითეულს, ოსტატობის კანდიდატ ვ. ქარსელაძეს 4, ოსტატ მ. კამიშოვს 3½ ქულა.

გ. გაჩეჩილაძე
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი

„სსრ კავშირის თასზე" ფეხბურთში

9 ოქტომბერს მოსკოვში „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა შეხვედრა „სსრ კავშირის თასზე" ფეხბურთში. ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ქალაქ კალინინისა და სტალინოს „შახტიორის" ფეხბურთელთა გუნდები. დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეხვედრა დამთავრდა კალინინელთა გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

ამ გამარჯვების მოპოვებით ქალაქ კალინინის გუნდი გავიდა ფეხბურთში „სსრ კავშირის თასის" გათამაშების ფინალში. 14 ოქტომბერს იგი შეხვდება ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს—საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდს.

მენდელეევის საზოგადოებაში

ხუთშაბათს, 11 ოქტომბერს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის აუდიტორიაში შედგება მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების საერთო კრება, მიძღვნილი ორგანულ ქიმიაში ქიმიური აგებულების თეორიის საკითხისადმი.

თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა

ხუთშაბათს, 11 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში გაიხსნება თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი: მოწინავე — წარმატებით დავამთავროთ საშემოდგომო თესვა.

საერთო სათაურით „შრომით ვასახელოთ ჩვენი სამშობლო" წერილები: დ. ბაბუციძე — ვასრულებთ სახალხო მშენებლობის დაკვეთას. მ. აროშიძე — მანქანების მაღალი ხარისხისათვის. ვ. მაზაილოვი — ციკლური მეთოდი მოქმედებაში.

საბჭოთა კავშირში. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

მეორე გვერდი: გვერდი საერთო სათაურით „ქუთაისელი ავტომშენებლები მშვიდობის ვახტზე" წერილები: ჯანჯღავა—ციოთ მოპოვებული წარმატებანი (საუბარი საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივან ამხ. გ. ნარსიასთან). მ. გველესიანი — ისინი, ვინც ქმნიან მანქანებს. გ. ივანიუკი—ურალელთა მაგალითისამებრ მ. ტყეშელაშვილი—ორი წლის გეგმა — 7 ნოემბრისათვის. ი. გრძელიძე —ახალი ავტომანქანის საჭესთან.

მესამე გვერდი: ი. მეხიძე — გუდამაყრის ხეობაში. ა. კუზმიჩევა—მცდარი პოზიცია. ბ. კეთილაძე — სახალხო ჩინეთის კინო. ე. შაფათავა — ქართული თეატრის ოსტატი (ვ. აბაშიძის გარდაცვალების 25 წლისთავის გამო).

მეოთხე გვერდი: უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

12 ოქტომბერს

6.45 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები. 9.20 — ყირგიზული, ტაჯიკური და ყაზახური სიმღერები. 10.30 — ნაწყვეტი ვასილ ბარნოვის რომანიდან „ისნის ციხკარი". 18.10 — ქართული მუსიკის კონცერტი. 18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 19.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „თბილისის აბრეშუმის ფაბრიკის ახალგაზრდობა სოციალისტურ შეჯიბრებაში". 19.15 — გლინკას ოპერა „ივან სუსანინის" მეორე მოქმედება. 20.30 — ქალაქის ქსელით — კონცერტი ახალგაზრდა შემსრულებელთა მონაწილეობით. 20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. 20.45 — ქართული კამერული მუსიკის კონცერტი. 21.10 — საუბარი: „ჩინეთის სახალხო მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ზრუნვა მშრომელებზე". 21.55 — კალინნიკოვის სიმფონია № 1. 22.40 — ლიტერატურული გადაცემა — ნაწყვეტი ალექსანდრე ყაზბეგის რომანიდან „ელგუჯა" — „პარისპარ"? 23.00 — კონცერტი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით. 24.00 — სენ-სანსის კონცერტი ვიოლინოსათვის.

ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ქ. თბილისში უნივერსიტეტის ქ. № 32 მოეწყობა კონსულტაციები ა. წ. 14, 28 ოქტომბერს, 11, 25 ნოემბერს და 9, 23 დეკემბერს დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე. კონსულტაციაზე დასწრება სავალდებულოა ქ. თბილისში და მის ახლო მდებარე რაიონებში მცხოვრებ ფიზიკა-მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ისტორიის და რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტების სტუდენტთათვის, აგრეთვე აზერბაიჯანული და სომხური სექტორების სტუდენტთათვის.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — „გორდა" (მე-12 ჯ.); **რუსთაველის სახელობის** — „ნ. ბარათაშვილი"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „რომეო და ჯულიეტა"; **გრიბოედოვის სახელობის** — „უმზითვო" (მე-2 აბ.); **სომხური დრამის** — „ძველი ავადმყოფობა"; **მუსიკალური კომედიის** — „ცანის დედოფალი"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „ზღვნიერებისაკენ" (მე-10 აბ. 6 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „მშვენიერი ვასილისა" (10 ს.), „განკიცხულნი" (4 ს.); **თოჯინების ქართული** — „სვანეთის მთებში" (3 ს.); **სანკულტურის** — „კარგი ამხანაგი".

ძმისშვილები აპოლონ, ბორის, ნადია, რძლები სონია, ქეთო მასხარაშვილები იუწყებიან **ფატმან ტოტის ასულ მასხარაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 13-X, 8 ს. გამოსვენება 14-X, 4 ს. ვორონცოვის მესამე შესახვევი, 9.

მეუღლე ეკატერინე, შვილი ნანული, მამა ვარლამ, და თამარ, ძმები რაჟდენ, ვარდენ, გრიშა ოჯახებით იუწყებიან, რომ 14-X, 3 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **დავით ვარლამის-ძე იაშვილის** პანაშვიდი.

შვილი ქეთევან დარსალია, სიძე ვლადიმერ კორტავა, შვილიშვილები კობა, დოდო, ვლადიმერ იუწყებიან **მატრონე სამსონის ასულ იმნაძე-დარსალიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-X, ს. გვიმბალაურში (ლანჩხუთის რ.).

საქართველოს ჯანმრთელობის სპეციალური სამკურნალო კომბინატის პოლიკლინიკისა და საავადმყოფოს თანამშრომლები იუწყებიან ექიმ **აბდულ იბრაჰიმ-ძე გოგოშვილის** გარდაცვალებას.

დედა დესპინე, მეუღლე საშა, შვილი ჯულიეტა, დები ტატიანა, აგრაფინა, ძმა დიმენტი, რძალი მერი იუწყებიან **აპოლონ ზეგლარის-ძე ალანიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12-X, 7 ს. გამოსვენება 13-X, 5 ს. წულუკიძის, 1.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო იუწყება **ივანე ლუარსაბის-ძე დვალის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროს კოლეგია და პარტიული ორგანიზაცია იუწყებიან საქართველოს კ. პ. (ბ) დმანისის რაიკომის პირველი მდივნის **ივანე ლუარსაბის-ძე დვალის** გარდაცვალებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ამბროლაურის რაიკომი და მშრომელთა დეპუტატების ამბროლაურის რაიონული საბჭოს აღმასკომი იუწყებიან საქართველოს კ. პ. (ბ) დმანისის რაიკომის პირველი მდივნის **ივანე ლუარსაბის-ძე დვალის** გარდაცვალებას.

მშრომელთა დეპუტატების დმანისის რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვისა და კომუნალური მეურნეობის განყოფილებების მუშაკები იუწყებიან საქართველოს კ. პ. (ბ) დმანისის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. **ივანე ლუარსაბის-ძე დვალის** და მისი მეუღლის **ქსენია დვალის** გარდაცვალებას.

შვილები ოლია, ნინო, ვარვარა, მიხეილ, რძლები ლიდა, ოლია, ტატიანა, სიძეები ვიქტორ, დომენტი, შვილიშვილები გრიგოლ, სერგო, ლამარა, ნათელა იუწყებიან **ელენე ოსების ასულ ბოკუჩავას** გარდაცვალებას. გამოსვენება 13-X, 4 ს. ფოდაშვილის მოედანი, 3.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უმ 03256